საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №160/18-2
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 11 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 24 სექტემბრის №160/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე -- -- უსაფუძვლოდ გააჭიანურა გადაწყვეტილების დაწერა და მხარისათვის გადაცემა, წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად. ამასთან, დაარღვია თათბირის საიდუმლოება, კერძოდ, მოსამართლის თანაშემწემ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე წარმომადგენელს დაუდასტურა სატელეფონო საუბრისას, რომ მათ სააპელაციო საჩივარს უარი ეთქვა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 6 ივნისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით: დაევალოს მოპასუხეს მოსარჩელისათვის, მის მიერ დაკავებული პოზიციიდან განთავისუფლების დასაბუთებული ბრძანების გადაცემა; კომპენსაციის სახით -- ლარის ანაზღაურება (ორი თვის სარგო); სახელფასო დავალიანების -- ლარის ანაზღაურება; გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება -- ლარის ოდენობით; შრომითი კონტრაქტის შეწყვეტის გამო გადასახდელი კომპენსაციის გადაუხდელობისათვის ყოველდღიურად 0.07% გადახდა 2016 წლის 14 აპრილიდან ვალდებულების შესრულებამდე; სახელფასო დავალიანების გადახდის დაგვიანებისთვის ყოველდღიურად 0.07% გადახდა 2016 წლის 14 აპრილიდან ვალდებულების შესრულებამდე; 2016 წლის მარტის ხელფასის დაგვიანებისთვის ყოველდღიურად 0.07% გადახდა.

საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 7 ივნისის განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენელს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. 2016 წლის 14 ივნისს მოსარჩელემ საჩივრით მიმართა სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

2016 წლის 21 ივნისს -- -- შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2016 წლის 28 ივნისის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის განჩინების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განჩინებით საჩივრის განხილვა დაინიშნა 2016 წლის 7 სექტემბერს ზეპირი მოსმენის გარეშე.

2016 წლის 7 სექტემბრის განჩინებით -- -- წარმომადგენლის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, -- ლარის ფარგლებში ყადაღა დაედო, მოპასუხე -- -- საბანკო ანგარიშს.

2016 წლის 30 ნოემბერს საქმე გადაიგზავნა -- -- სასამართლოში.

2017 წლის 4 იანვრის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2017 წლის 01 თებერვალს.

2017 წლის 23 იანვარს მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა განცხადება მოთხოვნის დაზუსტების შესახებ. კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა -- -- აღდგენა უბნის უფროსის თანამდებობაზე და იძულებით გაცდენილი დროისათვის ფულადი ანაზღაურება, ასევე მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანების გადახდის დაგვიანებისთვის ყოველდღიურად 0.07%-ის დარიცხვა მოითხოვა.

სასამართლო სხდომები გაიმართა 01.02.2017; 18.05.2017 და 16.06.2017 წწ პერიოდებში.

2017 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით -- -- ბრძანება და იგი აღდგენილი იქნა ხიდის მშენებლობის უბნის უფროსის თანამდებობაზე; მოპასუხე -- -- სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის ანაზღაურება 2016 წლის 06 აპრილიდან სამუშაოზე აღდგენის დღემდე, ყოველთვიურად ხელზე ასაღები -- ლარის ოდენობით; მოპასუხე -- -- სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი ხელფასის -- ლარის გადახდა; მოპასუხე -- -- სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების გადახდის დაგვიანებისათვის ყოველდღიურად -- ლარის 0.07% გადახდა, დაწყებული 2016 წლის 17 აპრილიდან 2016 წლის 2 აგვისტომდე, რაც შეადგენს დღეში -- ლარს, ხოლო 2016 წლის 2 აგვისტოდან დავალიანების გადახდის დაგვიანებისათვის, ყოველდღიურად -- ლარის 0.07% გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე, რაც შეადგენს დღეში -- ლარს.

2.2. 2017 წლის 31 ივლისს -- -- სასამართლოში წარადგინა სააპელაციო საჩივარი -- -- სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებაზე და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 29 სექტემბრის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა 7 დღის ვადა ხარვეზის შევსების მიზნით.

2017 წლის 22 ნოემბრის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად.

2017 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

2018 წლის 3 იანვარს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

სასამართლო სხდომები გაიმართა 08.01.2018; 22.01.2018; 12.02.2018 წწ პერიოდებში.

2018 წლის 12 თებერვლის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება.

2018 წლის 13 მარტს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და მოითხოვა 2018 წლის 12 თებერვლის განჩინების გაუქმება.

2018 წლის 24 აპრილს -- -- გაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 თებერვლის განჩინების ასლი.

2.3. 2018 წლის 2 მაისს საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის შემთხვევითი განაწილების პრინციპით გადაეცა მოსამართლე -- --.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 11 ივნისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.5. მუხლის მიხედვით მოსამართლემ ყველა სამოსამართლო ფუნქცია, მათ შორის გადადებულ გადაწყვეტილებათა მიღება უნდა განახორციელოს ეფექტურად, სამართლიანად და გონივრული სისწრაფით. ამასთან, „საქმეების სამართლიანად და გულდასმით განხილვის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქმეთა საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებას. მოსამართლის უპირველესი ვალია სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება მოსამართლემ უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე უნდა გამოაცხადოს.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიეს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.“

მოსამართლე -- -- განჩინება გამოაცხადა 2018 წლის 12 თებერვალს. საქმის მასალებით დგინდება, რომ მხარეებს დასაბუთებული განჩინება გაეგზავნათ 2018 წლის 24 აპრილს, დაახლოებით 1 თვის და 12 დღის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ აპელანტმა საკასაციო საჩივარი წარადგინა ფორმალურად, რათა გასაჩივრების ვადა არ გაეშვა. დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ თვალსაზრისით, რომ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში. ამდენად, მოსამართლის ქმედებას არ მოყოლია მხარისათვის მისი საპროცესო უფლების წართმევა, მიემართა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება, ხოლო ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე

მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისათვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

შესაბამისად, ვადის დარღვევის უმნიშვნელო ხასიათის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადა ვერ ჩაითვლება არაგონივრულ ვადად.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ თათბირის საიდუმლოების გამჟღავნება.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მიხედვით მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მსჯელობა, რომელიც მათ ჰქონდათ თათბირის დროს. ამავე კოდექსის 243-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით „მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოსამართლის თანაშემწე იღებს მოქალაქეებს, მათ საჩივრებსა და განცხადებებს, ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომაზე განსახილველად, მოიძიებს სათანადო სამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკის მასალებს, ადგენს სათანადო დოკუმენტების პროექტებს, მოსამართლის დავალებით ასრულებს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს.

საჩივრის ავტორის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლემ დაარღვია თათბირის საიდუმლოება, რადგან გადაწყვეტილების გამოცხადებამდე თანაშემწის მეშვეობით მისთვის ცნობილი იყო საქმის შედეგის შესახებ, უნდა აღნიშნოს, რომ თათბირის საიდუმლოება უზრუნველყოფს მოსამართლის თავისუფლებას მშვიდად და ყოველგვარი შებოჭილობის გარეშე გამოთქვას თავისი მოსაზრება, როგორც ცალკეული საკითხების, ისე გადაწყვეტილების შესახებ. თათბირის საიდუმლოება წარმოადგენს მოსამართლეთა შორის გამართულ მსჯელობას. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი ვერ ჩაითვლება თათბირის საიდუმლოების დარღვევად, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლის დავალებით თანაშემწე ამზადებს საქმეს, ადგენს გადაწყვეტილების პროექტს, შესაბამისად, მოსამართლის თანაშემწის საქმიანობის არსიდან გამომდინარე თანაშემწე ფლობს მხარეზე ადრე საქმესთან დაკავშირებით გარკვეულ ინფორმაციას.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №160/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი